

შპს “NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

საწყისი სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების საწყისი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების საწყისი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. ფუნქციონირებადი საწარმო.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	7
5. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები.....	16
6. ამონაგები	16
7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	17
9. ადმინისტრაციული ხარჯები.....	17
10. ძირითადი საშუალებები.....	18
11. არასაოპერაციო შემოსავალი	19
12. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი.....	19
13. მოგების გადასახადი.....	19
14. მარაგები	19
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
16. შეზღუდული ფულადი სახსრები	20
17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	20
18. სესხები.....	20
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
20. მიღებული ავანსები	21
21. კაპიტალი	21
22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	22
23. პირობითი ვალდებულებები.....	22
24. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები	23
25. შენიშვნა.....	23

შპს "NUTSGE"

საწყისი სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 31 ივლისი
ამონაგები	6	14,979,900	7,375,049
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(13,303,267)	(6,586,966)
საერთო მოგება		1,676,633	788,083
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(278,098)	(177,501)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,330,903)	(471,079)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		67,632	199,503
არასაოპერაციო შემოსავალი	11	107,370	84,076
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება			38,947
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	18	(525,547)	(295,192)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	12	(248,385)	(643,340)
ზარალი დაბეგვრამდე		(598,930)	(616,006)
მოგების გადასახადი	13		
წლის ზარალი		(598,930)	(616,006)
სხვა სრული მოგება/(ზარალი)			
წლის სრული ზარალი		(598,930)	(616,006)

აღნიშნული საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

მომზადებულია და ხელმოწერილია შპს „NUTSGE“ მენეჯმენტის მიერ

მამუკა ბერიაშვილი
დირექტორი

თარიღი 27.04.2021

საქართველო • GEORGIA
შპს "NUTSGE" LTD
419986796

5-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 ივლისის და 2019 წლის 1 აგვისტოს

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 1 აგვისტო
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (2019: ადრე წარდგენილი 1,702,184 ლარი)	10	1,480,883	1,820,475
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,480,883	1,820,475
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		27,695	22,975
მარაგები	14	2,303,096	63,814
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	1,182,494	22,306
გადახდილი ავანსები (2019: ადრე წარდგენილი 28,719 ლარი)		37,478	64,839
შეზღუდული ფულადი სახსრები	16	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	1,707	4,187
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,552,470	178,121
სულ აქტივები		5,033,303	1,998,596
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		956,469	223,444
აკუმულირებული ზარალი (2019: ადრე წარდგენილი 1,752,304 ლარი)		(2,192,982)	(1,594,052)
სულ კაპიტალი		(1,236,513)	(1,370,608)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (2019: ადრე წარდგენილი 1,059,152 ლარი)	18	4,177,204	1,055,311
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,177,204	1,055,311
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	18	1,155,856	1,398,003
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	260,031	237,362
მიღებული ავანსები	20	676,725	678,528
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,092,612	2,313,893
სულ ვალდებულებები		6,269,816	3,369,204
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,033,303	1,998,596

5-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

კაპიტალში ცვლილებების საწყისი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2018 წლის 31 ივლისი (ადრე წარდგენილი)	223,444	(1,136,298)	(912,854)
წინა პერიოდის შეცდომის გასწორების ეფექტი		158,252	158,252
კაპიტალში ინვესტიციის განხორციელება			
მიმდინარე წლის ზარალი		(616,006)	(616,006)
2019 წლის 31 ივლისი	223,444	(1,594,052)	(1,370,608)
კაპიტალში ინვესტიციის განხორციელება	733,025		733,025
მიმდინარე წლის ზარალი		(598,930)	(598,930)
2020 წლის 31 ივლისი	956,469	(2,192,982)	(1,236,513)

5-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

ფულადი ნაკადების საწყისი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2019 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

საოპერაციო საქმიანობა	შენიშვნა	2020	2019
ზარალი		(598,930)	(616,006)
არაფულადი კორექტივები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:			
ცვეთა	10	388,719	204,150
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		248,385	565,111
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		-	(38,947)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	18	522,014	295,192
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ზრდა/(შემცირება)	16		108,210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	15	(1,160,188)	29,814
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)		27,361	(2,654)
მარაგების ზრდა/(შემცირება)	14	(2,239,282)	360,837
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება	19	22,669	(284,981)
საგადასახადო აქტივის შემცირება		7,030	43,758
მიღებული ავანსების ზრდა	20	(1,803)	266,109
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,784,025)	930,593
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		10,204	52,973
ძირითადი საშუალებების შეძენა		(63,104)	(98,286)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(52,900)	(45,313)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი პროცენტი	18	(522,014)	(292,514)
ნასესხები ფულადი სახსრები		7,983,022	5,301,803
ნასესხები სახსრების დაფარვა		(4,594,958)	(5,861,557)
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,866,050	(852,268)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		29,124	33,012
წმინდა კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(31,605)	(39,968)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 1 აგვისტოს	17	4,187	11,143
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 31 ივლისს	17	1,707	4,187

5-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „NUTSGE“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2012 წლის 25 ივლისს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თხილის გადამამუშავება და ექსპორტი.

2019 წლის 5 აგვისტოს კომპანიის 49 % გადავიდა შპს „გაზელ ფაიანს ჯორჯიას“ საკუთრებაში, ხოლო დანარჩენი 34,5 % და 16,5 % -ის მფლობელები გახდნენ მამუკა ბერიაშვილი და ირაკლი ლუკავა. 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან ფიზიკური პირები მამუკა ბერიაშვილი 34,5 % წილის მფლობელი, ირაკლი ლუკავა 16,5 % წილის მფლობელი და შპს „გაზელ ფაიანს ჯორჯია“ 49% წილის მფლობელი.

კომპანიის ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაწულუკუ 23-ე ქუჩა N74.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) სტანდარტებზე გადასვლის უზრუნველსაყოფად. წინამდებარე საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და ვითარებების და სააღრიცხვო პოლიტიკების საუკეთესო ცოდნა, რასაც კომპანიამ გამოიყენა 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული პაკეტის მომზადებისას.

კომპანიამ 2019 წელს გამოუშვა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წამოადგენს მსს ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს, რადგან მასში არ არის შესული შედარებადი ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად, იგი მსს ფასს სტანდარტების მიხედვით სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ შედარებადი ფინანსური ინფორმაციის შემცველი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტით.

შესაბამისად, წინამდებარე საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლები ასახული არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს შესაბამისად სადაც ფუნქციონირებს საწარმო (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა ასევე არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 2,192,982 ლარი. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ გააჩნია საკმარისი რესურსი დროულად დაფაროს ვალდებულებები შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანიის წმინდა ზარალი უმეტესწილად გამოწვეულია სასესხო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია უარყოფითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2,784,025 ლარი.
- საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის სამუშაო კაპიტალის უარყოფითი ნაშთი ძირითადად გამოწვეულია მოკლევადიანი სესხის გადაფასებით და მიღებული ავანსების ზრდით. კომპანია წარმოების ზრდის მიზნით გეგმავს ინვესტიციის მოზიდვას, რაც მის ლიკვიდურობას გააუმჯობესებს. 2019 წლის აგვისტოში მოხდა კაპიტალში ინვესტიციის განხორციელება 733,025 ლარის ოდენობით. (შენიშვნა 24).

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია განხორციელებულია დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას. გაცხადება ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით დაფუძნებულია მიმდინარე მოლოდინებსა და პროგნოზებზე. არსებობს რისკები და განუსაზღვრელობები, რომლებიც ცდება მენეჯმენტის კონტროლს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გადახრები მოლოდინებსა და ფაქტიურ შედეგებს შორის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო მოახდენს მისი აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

მოკლევადიან/გრძელვადიან მუხლებად კლასიფიკაცია

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოიყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან აღიარდება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე დაყრდნობით. ხელშეკრულების შესრულების ეტაპი განიმარტება ისეთი სახელშეკრულებო განაკვეთებით, როგორც არის გადამუშავებული პროდუქციის სახელშეკრულებო ფასი.

გადავადებული შემოსავალი

წარმოებული საქონლისთვის მიღებული ავანსები გადავადებული შემოსავლის სახით აღირიცხება. კომპანია შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის შესაბამისი პროდუქციის მიწოდებისას.

უცხოური ვალუტები

საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ხდება უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენა:

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 1 აგვისტო
აშშ დოლარი/ლარი	3.0719	2.9507
ევრო/ლარი	3.6086	3.2889

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება

განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღირიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისატანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება; (გ) დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს ასევე, იმ ტერიტორიის აღდგენის ღირებულებას, რომელზედაც ამგვარი აქტივი იყო განთავსებული, და (დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კისრულობს

კომპანია აქტივის შეძენისას ან, მუხლის გამოყენების შედეგად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რისი მიზანიც არ არის ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოება.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	3-10
საოფისე ქონება	3-5
ავტომობილები	15

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების თვითღირებულებისა და მის ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების მუხლის გაყიდვიდან ან განკარგვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც

ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალდებულო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი

ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი და მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში და ასევე ფული სალაროში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო

უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ

სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზირებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის ურუხველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარება შეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარება შეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარება შეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განმეორებით შეძენა აღიარდება და დაიქვითება პირდაპირ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად არანაირი მოგების თუ ზარალის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო დავალიანება

წინასწარ გადახდილი გადასახადები ნომინალური ღირებულებით აღირიცხება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო დავალიანება ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც, გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

წარმოების პროცესის შედეგად მიღებული თანმდევი პროდუქცია ფასდება გასაყიდ ფასად მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, ესენია: პირდაპირი შრომითი დანახარჯები, მუდმივი და ცვლადი ზედნადები ხარჯები.

იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება. უფლებები ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილ აქტივებზე აქტივებად აღიარდება, იჯარით აღებული ქონების სამართლიანი ღირებულებით (ან, თუ ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით) იჯარის დასაწყისში. მეიჯარის შესაბამისი ვალდებულება ფინანსური იჯარის ვალდებულების სახით არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილი აქტივები აღირიცხება ძირითად აქტივებში. მათზე ირიცხება ცვეთა და ფასდება გაუფასურებაზე იგივე ფორმით, როგორც ფლობილი აქტივები.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული საიჯარო გადახდები წრფივი მეთოდის გამოყენებით დაირიცხება მოგებაზე ან ზარალზე, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

5. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

6. ამონაგები

	<u>2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის</u>
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,979,900
	<u>14,979,900</u>

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	<u>2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის</u>
მარაგების თვითღირებულება	13,303,267
	<u>13,303,267</u>

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის
ტრანსპორტირების ხარჯები	277,970
სულ	277,970

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლის 31 ივლისით დასრულებული წლისთვის
დასაქმებულ პირთა გასამრჯელო	570,715
სერვისის ხარჯი	28,175
მივლინების ხარჯები	35,405
კომუნალური ხარჯები	17,678
სერტიფიცირების ხარჯები	12,625
საგადასახადო ხარჯი	11,354
მიმდინარე რემონტის ხარჯები	12,073
საბანკო ხარჯები	22,997
საკონსულტაციო ხარჯი	26,106
საიჯარო ხარჯი	5,115
ოფისის ხარჯი	28,237
ქონების გადასახადი	16,205
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	16,139
დაზღვევის ხარჯი	7,018
მომსახურების ხარჯი	82,000
დაცვის ხარჯი	21,958
სხვა ხარჯები	58,384
ცვეთა	388,719
სულ	1,330,903

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

10. ძირითადი
საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2019 წლის 1 აგვისტო	60,000	704,783	1,376,067	78,718	23,980	50,636	2,294,184
შესყიდვები	-	-	38,819	6,642	7,455	10,188	63,104
გაყიდვები	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 ივლისი	60,000	704,783	1,414,886	85,360	31,435	60,824	2,357,288
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 აგვისტო	-	106,695	254,127	75,156	3,411	34,320	473,709
მიმდინარე წლის ცვეთა	-	55,798	314,915	18,240	2,792	11,001	402,746
გაყიდვები	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 ივლისი	-	162,493	569,042	93,396	6,203	45,321	876,455
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 აგვისტო	60,000	598,088	1,121,940	3,562	20,569	16,316	1,820,475
2020 წლის 31 ივლისი	60,000	542,290	845,844	(8,036)	25,232	15,503	1,480,833

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

11. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავლებში შედგება შემდეგი შემოსავლებისგან:

- არასაოპერაციო შემოსავალი 68,625 ლარის ოდენობით წარმოადგენს სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯის დაფინანსებას, 11%-12% ოდენობით, რომელიც განისაზღვრება კომპანიასა და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ (შემდგომში სააგენტო) შორის გაფორმებულ შეთანხმების საფუძველზე.
- არასაოპერაციო შემოსავალი 38,554 ლარი წარმოადგენს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გაცემულ საკონფერენციო ხარჯების დაფინანსებას. კომპანიის მიერ გაწეული აღნიშნული ხარჯი აისახება წარმომადგენლობით ხარჯებში (შენიშვნა 9).

12. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი
სულ

2020 წლის 31 ივლისით
დასრულებული წლისთვის

248,385

248,385

13. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-4 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2019 წელს კომპანიამ მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარა განაწილებულ მოგებაზე, რადგან 2019 წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია.

14. მარაგები

	2020 წლის 31 ივლისი	2018 წლის 1 აგვისტო
ნედლეული	-	-
სხვა მარაგები	2,303,096	58,495
დასრულებული პროდუქცია		5,319
სულ	2,303,096	63,814

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ 13,303,267 ლარის ნედლეული ჩამოწერა წარმოების მიზნით (შენიშვნა 7).

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 1 აგვისტო
სავაჭრო მოთხოვნები	1,182,494	22,306
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 22)	-	-
სხვა მოთხოვნები	-	-
სულ	1,182,494	22,306

16. შეზღუდული ფულადი სახსრები

2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არ აღირიცხება შეზღუდული ფულადი სახსრები.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 1 აგვისტო
ფული საღაროში	740	3
ფული ბანკში	967	4,184
სულ	1,707	4,187

18. სესხები

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 1 აგვისტო
გრძელვადიანი სესხები		
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები	4,177,204	1,055,311
მოკლევადიანი სესხები		
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები	1,155,856	1,398,003
სულ	5,333,060	2,453,314

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

აღებული სესხები	ვალუტა	დაფარვის ვადა	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 31 ივლისი
800,000	დოლარი	20/08/2024	2,457,520	-
645,710	დოლარი	12/25/2020	-	1,805,815
8,081	დოლარი	20/01/2023	20,686	-
476,000	დოლარი	11/11/2022	1,155,856	-
326,150	დოლარი	5/25/2023	504,250	647,498
650,000	დოლარი	1/06/2021	1,194,748	-
დარიცხული პროცენტი			-	3,842
სულ			5,330,060	2,457,155

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში აღიარა 525,547 ლარი ფინანსური ხარჯი საბანკო დაწესებულებებიდან აღებულ სესხებზე და გადაიხადა 522,014 ლარი.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 31 ივლისი
სავაჭრო ვალდებულებები	254,594	237,362
სახელფასო დავალიანებები	3,431	-
სხვა ვალდებულებები	2,006	-
სულ	260,031	237,362

20. მიღებული ავანსები

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 31 ივლისი
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარეებისაგან	676,725	678,124
სხვა ავანსები		404
სულ	676,725	678,528

2020 წლის 31 ივლისის კომპანიის ბალანსზე აღრიცხული ავანსები წარმოადგენს შპს „ნატექსის“ 467,745 ლარი და შპს CALCONUTS SL-ისაგან 208,980 ლარი პროდუქციის მიღების შედეგად წარმოქმნილ ავანსებს, ხოლო 2019 წლის 1 აგვისტოს აღრიცხული დაკავშირებული მიღებული ავანსი წარმოადგენს შპს CALCONUTS SL პროდუქციის მიღების შედეგად წარმოქმნილ ავანსს

(შენიშვნა 22).

21. კაპიტალი

2020 წლის 31 ივლისის და 2019 წლის 1 აგვისტოს ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი 956,469 ლარს შეადგენდა.

შპს „NUTSGE“

საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, მენეჯმენტს და მათ ოჯახის წევრებს

კომპანიას გააჩნდა შემდეგი ბალანსები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებთან)

	2020 წლის 31 ივლისი	2019 წლის 31 ივლისი
მიღებული ავანსები (შენიშვნა 20)	676,725	678,124
მოთხოვნები (შენიშვნა 15)	-	

23. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოებები - 2020 წლის 31 ივლისის და 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებითი დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივად ვითარდება და შესაბამისად ის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა უკუქმედების ძალა ჰქონდეს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად ხუთი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა ექვემდებარებოდნენ გარიგებები, ხოლო კომპანია შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

24. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები ჯერჯერობით არ გამოვლენილა.

2019 წლის აგვისტო სექტემბერში კომპანიასა და შპს „Gazelle finance Georgia“ - ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რომლის მიხედვითაც შპს „Gazelle finance Georgia“ განახორციელა კაპიტალის გაზრდა 250,000 დოლარის ოდენობით და 800,000 დოლარის სესხი გადასცა კომპანიას. შედეგად კომპანიის წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: მამუკა ბერიაშვილი 34.5%, ირაკლი ლუკავა 16.5 %, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გაზელ ფაინენს ჯორჯია 49%.

25. შენიშვნა:

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წელს საწარმომ აღმოაჩინა, რამდენიმე ტიპის შეცდომები, კერძოდ, აღმოჩნდა რომ არასწორად ქონდა დარიცხული ძირითადი საშუალებების ცვეთა. აღნიშნული შეცდომის გასწორება მოხდა რეტროსპექტულად, რის შედეგადაც 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით დაგროვილი ცვეთა გაიზარდა 118,291 ლარით, რამაც გავლენა მოახდინა 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით არსებულ დაგროვილ ზარალზე. გარდა ამისა, კომპანიამ დააზუსტა ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია, შედეგად გამოიყო ახალი კლასი „ავეჯი და სხვა ინვენტარი“.

კორექტირებას ასევე დაექვემდებარა გაცემული ავანსის მუხლი, რადგან 2016 წელს კომპანიას ხარჯებში ქონდა აღიარებული არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხა 36,120 ლარის ოდენობით, კერძოდ პროგრამის დანერგვაზე, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს დღემდე გაცემულ ავანსს.